ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ვ. ფ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №052/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. გ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. გ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. ფ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ,,ჯ.-ს" შორის ურთიერთობა დაიწყო 2011 წელს. ის ყოველთვიურად მიკროსაფინანსოს სარგებლის სახით უხდიდა 3 %-ს. 2017 წლის 9 მარტს მან პროცენტის შემცირების თხოვნით მიმართა ,,ჯ.-ს", თუმცა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს და საქმე გადასცეს კერძო აღმასრულებელს, რომელმაც მისი სახლი აუქციონზე გაიტანა გასაყიდად. ამ სამართლებრივი პრობლემის მოსაგვარებლად მან მიმართა ადვოკატ ი. გ.-ს და მათ შორის ურთიერთობა დაიწყო 2017 წლის 23 აპრილს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს გადასცა საქმის საბუთები და ადვოკატი დაპირდა, რომ მის მიერ 3 % სახით გადახდილი თანხიდან 1.3%-ს სასამართლოს წესით ჩაუთვლიდა ძირ თანხაში, ბინას გაათავისუფლებდა იპოთეკისაგან და შესაძლოა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას იქეთ დაკისრებოდა თანხა მის სასარგებლოდ. ადვოკატმა ის დაარწმუნა, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები იყო უკანონო და პროცესს აუცილებლად მოიგებდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, საადოკატო მომსახურების სახით მას ადვოკატ ი. გ.-ისათვის უნდა გადაეხადა 800 (რვაასი) აშშ დოლარი. ამ თანხიდან მან ადვოკატს გადასცა 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარი და 300 (სამასი) აშშ დოლარი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია სასამართლომ დროებით შეაჩერა აღსრულება, მაგრამ ადვოკატ ი. გ.-ის მიერ მომზადებული სარჩელი არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ მიიღო წარმოებაში და საბოლოოდ სასამართლომ გააუქმა ის განჩინება, რომლითაც შეჩერდა აუქციონი.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ამ სიტუაციაში ის დაამშვიდა ადვოკატმა, რომ დალოდებოდა აუქციონს. შემდეგ ადვოკატის დაჟინებული თხოვნით ადვოკატმა დაიწყო მოლაპარაკება ,,ჯ.-თან". თუმცა ადვოკატის მიერ განხორციელებული მოლაპარაკების პროცედურის შედეგად, ,,ჯ.-მ" გაზარდა როგორც დასაბრუნებელი ძირი თანხა, ასევე პროცენტიც (20.04.2017 წინადადებაში ითხოვდნენ 7445,18 აშშ დოლარს, საიდანაც დაფარა 1900 აშშ დოლარი და დარჩა ძირი 5545,18 აშშ დოლარი. ადვოკატთან მოლაპარაკების შემდეგ 29.01.2018 წლის წერილით დაუდგინდა ძირი თანხა 5652$ და 3.3%).

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. გ.-მ მიატოვა რთულ სიტუაციაში, უარი უთხრა დახმარებაზე და დაუბრუნა საბუთები. ხოლო საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნებაზე უარი განუცხადა და გააფრთხილა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, რადგან მისი ბიძაშვილი არის ნ. გ.. ამის შემდეგ ადვოკატმა მას უჩივლა პოლიციაში თანხის გამოძალვის საფუძვლით.

1.8 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ რადგან მისი სახლი უკვე გამზადებული იყო აუქციონზე გასატანად, ის იძულებული გახდა სხვა ადვოკატისათვის გაეკეთებინა მინდობილობა. სხვა ადვოკატმა შეძლო, რომ მისთვის მისაღები პირობებით ეწარმოებინა მოლაპარაკება ,,ჯ.-თან" და მხარეები მორიგდნენ.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ი. გ.-ის მოქმედებების გამო ინერვიულობა, გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა და დღესაც მკურნალობს.

1.10 საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 15 მაისის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მას საადვოკატო მომსახურების თანხა აღსრულების შეჩერების გამო არ გადაუხდია, მას უნდოდა სასამართლოში თავისი სიმართლის დამტკიცება.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან მოლაპარაკება ვერ განხორციელდა ადვოკატის ბრალით. იმ საღამოს, როდესაც მიკროსაფინანსომ შესთავაზათ მისთვის მისაღები პირობები, ადვოკატს არ ეცალა, ხოლო მეორე დღეს მიკროსაფინანსომ ეს

პირობები აღარ შესთავაზათ.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის დღემდე გაუგებარია, თუ რატომ შეუწყვიტა ი. გ.-მ მას ხელშეკრულება. მისმა ახალმა ადვოკატმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში, სასამართლომ პროცენტი მთლიანად მოუხსნა და ძირი თანხის გადახდა გადაუნაწილა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. გ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა- განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2017 წლის 11-12 აპრილს მას დაურეკა ვ. ფ.მ და სთხოვა შეხვედრა, ადვოკატმა განუმარტა, რომ თავისი გრაფიკიდან გამომდინარე მასთან შეხვედრა შეეძლო აღდგომის დღესასწაულის შემდეგ და მართლაც შეხვდა 19 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, ქუთაისში, ე.წ. ნინოშვილის ბაზართან. შეხვედრა შედგა მის ავტომობილში, სადაც ვ. ფ.-მ გააცნო თავისი პრობლემა, აუხსნა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ,,ჯ.-თან" ჰქონდა უთანხმოება სესხის პროცენტის გადაუხდელობის გამო. მიკროსაფინანსოს მხრიდან ამ სესხის უზრუნველსაყოფად დაყადაღებული იყო მისი სახლი, რომლზეც უკვე იყო დაწყებული აღსრულების პროცედურები.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ამ საუბრისას მან უთხრა ვ. ფ.-ს, რომ მხოლოდ საბუთების გაცნობის შემდეგ გადაწყვეტდა მიიღებდა თუ არა წარმოებაში მის საქმეს. რადგან კლიენტმა განუმარტა, რომ საქმე იყო საჩქარო, მან ვ. ფ. მიერ მიტანილი საბუთებიდან კლიენტის თვალწინ დაიტოვა დოკუმენტები, რათა კლიენტს დაენახა რომელ საბუთებს იტოვებდა. კლიენტის თავდაპირველი დავალება იყო აღსრულების შეჩერება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან 3 დღეში შეისწავლა ვ. ფ.-ის საქმის მასალები და აღმოაჩინა, რომ სესხის გენერალურ ხელშეკრულებასა და სესხის მიმდინარე ხელშეკრულებას შორის იყო ორი სხვაობა, რომელსაც ეს ორი ხელშეკრულება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოყავდა. ამის შემდეგ მან ვ. ფ.-ს დაუდასტურა, რომ აიღებდა წარმოებაში მის საქმეს და უნდა გაეფორმებინათ ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. მათ შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 23 აპრილს, ვ. ფ. გულდასმით გაეცნო ხელშეკრულების პირობებს და ამის შემდეგ თანხმობა დაადასტურა თავისი ხელმოწერით. მომსახურების ღირებულება განისაზღრა 800 (რვაასი) აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში.

2.4 ხელშეკრულების საგანში ადვოკატმა განსაზღვრა დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება ვ. ფ.-სთვის. ეს დაწესებულებებია: მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ბანკები, აღსრულების ეროვნული ბიურო, კერძო აღმასრულებლები და ყველა ინსტანციის სასამართლოები. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ ყველაფრით მან გამოიჩინა გულისხმიერება კლიენტისათვის, გაითვალისწინა გარემოება, რომ კლიენტს შესაძლოა არსებული სესხის გადასაფარად დასჭირვებოდა სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში სესხის აღება, მას შეეძლებოდა ამ მომსახურების თანხის ფარგლებში ამ საკითხზეც მიეცა მისთვის კვალიფიციური რჩევები.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან 2017 წლის 26 აპრილს კლიენტის სახლის მიმართ დაწყებული აღსრულების პროცედურების შესაჩერებლად, სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის

საქალაქო სასამართლოს და ითხოვდა კერძო აღმასრულებლის მიერ დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერებას. 2017 წლის 27 აპრილის განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ვ. ფ.-მ მოსთხოვა საჩივრის შეტანა პროკურატურაში, სურდა ეჩივლა ,,ჯ.-სათვის", რადგან თავს თვლიდა თაღლითობის მსხვერპლად. მართალია მან კლიენტს აუხსნა, რომ ეს საქმე თაღლითობის ნიშნებს არ შეიცავდა, მაგრამ კლიენტის დაჟინებული მოთხოვნით მან დაუწერა პროკურატურისათვის განცხადება. ეს განცხადება პროკურატურის კანცელარიაში დარეგისტრირდა 2017 წლის 15 მაისს. რამდენიმე დღეში ვ. ფ. დაიბარა პროკურორმა, სადაც ის, როგორც ადვოკატი ახლდა მას. პროკურორმა ვ. ფ.-ს აუხსნა, რომ ეს საქმე იყო სამოქალაქო დავა და მასში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა. ის, როგორც ადვოკატი ჩავარდა უხერხულ სიტუაციაში, რადგან პროკურორმა შეხედა როგორც ,,ოროსანს" და უთხრა, რომ ეს იყო სამოქალაქო დავის საქმე და მოუხდა თავის მართლება, რომ პროკურატურაში განცხადების შეტანა იყო კლიენტის მოთხოვნა და არა მისი, როგორც ადვოკატის ინიციატივა.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით განმეორებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 მაისს, მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გაიცა სააღსრულებო ფურცელი დაწყებული აღსრულების შეჩერებისათვის. შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა 10 დღის ვადაში სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჩერებული აღსრულება განახლდებოდა. ამ გარემოებების შესახებ სრულად იყვნენ ინფორმირებულნი როგორც ვ. ფ., ისე მისი ოჯახი.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ამ 10 დღიანი ვადის მე-8 დღეს მას მზად ჰქონდა სარჩელი. დაახლოებით 7-8 მაისს მას დაურეკა ვ. ფ.-მ და უთხრა, რომ სარჩელის გასაცნობად მისულიყო მასთან სახლში, სადაც იქნებოდა მისი ახლობელი, თბილისიდან ჩამოსული იურისტი, ვისთან ერთადაც უნდა განეხილათ ადვოკატ ი. გ.-ის მიერ მომზადებული სარჩელი. მართალია, მას ეს გარემოება არ მოეწონა, მაგრამ გაითვალისწინა კლიენტის ინტერესი, საპროცესო ვადები, წყენა გადადო და მასთან სახლში მივიდა მომზადებული სარჩელით. ვ. ფ.-ის ახლობელი აღმოჩნდა ნ. ფ., რომელსაც წლების განმავლობაში ჰქონდა მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება და მიმდინარე დროისათვის ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. აღნიშნული ქალბატონი გაეცნო მის სარჩელს სრულყოფილად და აღნიშნა, რომ სარჩელი იყო კარგი და მოთხოვნები იყო სათანადო დონეზე ჩამოყალიბებული.

2.9 ადვოკატის განმარტებით, ამ სარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის თანხა შეადგენდა 430 (ოთხას ოცდაათ) ლარს, რაც არ მოეწონა კლიენტს და უთხრა, რომ ბაჟის თანხა დაეწია 200 (ორას) ლარამდე, ასეთივე სურვილი განაცხადა ვ. ფ.-ის მთელმა ოჯახმა იმ საფუძვლით, რომ 430 (ოთხას ოცდაათი) ლარის გადახდა არ შეეძლოთ. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს საფუძვლიანად აუხსნა, რომ ასეთი მოქმედების განხორციელება არ შეიძლებოდა, რადგან მომზადებული სარჩელი მისი მოცულობით შეიცვლებოდა, აირეოდა და თანხვედრაში აღარ მოვიდოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად დაყენებულ შუამდგომლობაში ასახულ მომავალი სარჩელის პარამეტრებთან, რაც პრობლემებს შექმნიდა სარჩელის სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების კუთხით. ეს ყველაფერი ვ. ფ.-ს აუხსნა ნ. ფ.-მაც. ვ.

ფ.-მ განუმარტა, რომ მთავარია დრო მოეგო, იშოვიდა თანხას და გაისტუმრებდა ,,ჯ.-ს“. ამის შემდეგ ადვოკატმა ი. გ.-მ იქვე დაიწყო სარჩელის შეცვლა და მორგება 200 (ორას) ლარიანი ბაჟის მოცულობაზე, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, სარჩელი რომ არ წარედგინა, განახლდებოდა შეჩერებული აღსრულება.

2.10 ადვოკატის განცხადებით, როგორც მოსალოდნელი იყო 2017 წლის 13 ივნისის განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე. ამ განჩინებით ასევე უქმდებოდა 2017 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერებული იყო 2017 წლის 19 აპრილს გაცემული N სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება, რაც ვ. ფ.-ის საქმისათვის იყო დაუშვებელი, ამიტომ საჭირო გახდა კერძო სააპელაციო საჩივრის მომზადება. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტს დროის მოგება უნდოდა, სააპელაციო საჩივარს მან დააკლო გადასახდელი ბაჟის თანხა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომ ეს გარემოება ხარვეზის დადგენის მიზეზი ყოფილიყო, ასეც მოხდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით დაუდგინდათ ხარვეზი - რომლითაც დაეკისრათ ბაჟის გადახდა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ადვოკატი განმარტავს, რომ გაასწორა ხარვეზი და სააპელაციო წარმოება განახლდა. 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა კერძო სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. 2017 წლის 13 დეკემბერს ეს გადაწყვეტილება მხარეებს ჩაბარდათ.

2.11 ადვოკატის განცხადებით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის ვ. ფ.-ს უხსნიდა, რომ განჩინების ჩაბარების შემდეგ კერძო აღმასრულებელი ვალდებული იქნებოდა განეგრძო სააღსრულებლო პროცედურები. თუმცა ვ. ფ. არ ჩქარობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან მოლაპარაკებას. მოლაპარაკებაზე მისული ისეთი ხმის ინტონაციით ესაუბრებოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თანამშრომლებს, რომ მათ სურვილი არ ქონდა შეეთავაზებინათ მისთვის კარგი პირობები.

2.12 ადვოკატის განმარტებით, დეკემბრის შუა რიცხვებიდან მან არაერთი განცხადება დაუწერა ვ. ფ.-ს მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან წარსადგენად, რომელსაც კლიენტი თავისი სურვილით ასწორებდა. ამ ყველაფრით გამოიკვეთა, რომ ვ. ფ. მას არ ენდობოდა.

2.13 ადვოკატის განმარტებით, ბოლო წვეთი, რამაც მას ვ. ფ.-სთან საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტა გადააწყვეტინა იყო დეკემბრის თვეში მომხდარი ფაქტი, როდესაც ვ. ფ.-მ და მისმა ოჯახმა მას მიაყენეს შეურაცხყოფა - შეგნება, მორალი და კვალიფიკაცია დაუწუნეს, ხოლო ვ. ფ.-მ ირიბი ფორმით შეიგინა კიდეც. 23 დეკემბერს მან დაიბარა ოფისში ვ. ფ., აუხსნა, თუ რატომ ვეღარ იქნებოდა მისი ადვოკატი და დაუბრუნა საქმის მასალები. ამის შემდეგ ვ. ფ. მუდმივად ითხოვდა მისგან საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნებას და ეკითხებოდა თუ სად სურდა ამ საქმის გარჩევა - ქუჩაში თუ პოლიციაში.

2.14 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს მისთვის აქვს გადაცემული 200 (ორასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დაახლოებით 500 (ხუთასი) ლარი) და 300 (სამასი) აშშ დოლარი. ანუ ჯამში მის მიერ მიღებულმა ჰონორარმა შეადგინა 500 (ხუთასი) აშშ დოლარი.

ამ თანხიდან მან 20% გადარიცხა სახელმწიფოს ბიუჯეტში და მიიჩნევს, რომ მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხა ეკუთვნის სრულად - მის მიერ განხორციელებული მოქმედებებით აღსრულება შეჩერდა დაახლოებით 9 თვით, მთელი ამ დროის განმავლობაში ვ. ფ.-ს დაეზოგა ყოველთვიურად გადასახდელი პროცენტი 180 (ას ოთხმოცი) აშშ დოლარი.

2.15 ადვოკატის განცხადებით, მას კლიენტისათვის გარანტია საქმის შედეგთან დაკავშირებით არ მიუცია.

2.16 საპროცესო კოლეგიამ 2018 წლის 27 ივნისის სხდომაზე განმარტა, რომ ის ნ. გ.-ს იცნობს მხოლოდ ზოგადად, ერთმანეთთან ნათესაური კავშირი არ აქვთ.

3. ადვოკატის მოწმე ნ. ფ.:

ადვოკატ ი. გ.-ის მოწმე ნ. ფ. ეთიკის კომისიის სხდომაზე დაბარებული იყო 2018 წლის 03 ივლისს და 09 ივლისს. სხდომაზე გამოცხადება მოწმემ ვერ შეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ი. გ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი, ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

4.2 ვ. ფ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 26 აპრილს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა გაუწია არაკვალიფიციური მომსახურება, მის მიერ მომზადებული სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო, რის შედეგად გაუქმდა ის განჩინება, რომლითაც შეჩერდა აუქციონი, ადვოკატმა ვერ შეძლო ვ. ფ.-ისათვის მისაღები პირობებით მოლაპარაკებოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, ადვოკატმა ის მიატოვა რთულ სიტუაციაში.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ი. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

6.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

6.3 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად.

6.4 ეთიკის კომისიამ კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს."

6.5 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ "ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს."

6.6 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ი. გ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2017 წელს 23 აპრილს. ნიშანდობლივია მომჩივანსა და ადვოკატს შორის შეთანხმების საგანი და მისი ფარგლები, რომლის ირგვლივაც საპროცესო კოლეგიაში მიღებული ინფორმაციებითა და დოკუმენტებით ჩანს, რომ ადვოკატის მიერ ზოგადად განხორციელებულია იურიდიული (საადვოკატო) მოქმედებები, რომელიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული.

6.7 ადვოკატმა ი. გ.-მ, როგორც ვ. ფ.-ის წარმომადგენელმა, განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები:

1. 2017 წლის 26 აპრილს კლიენტის სახლის მიმართ დაწყებული აღსრულების

პროცედურების შესაჩერებლად, სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და ითხოვდა კერძო აღმასრულებლის მიერ დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერებას. 2017 წლის 27 აპრილის განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2. ადვოკატმა კლიენტის დაჟინებული თხოვნით განცხადებით მიმართა პროკურატურას, სადაც შედეგი არ დადგა, როგორც მან თავიდანვე მიაწოდა ინფორმაცია ვ. ფ.-ს.

3. ადვოკატმა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით განმეორებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 მაისს, მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გაიცა სააღსრულებო ფურცელი დაწყებული აღსრულების შეჩერებისათვის.

4. ადვოკატმა შეადგინა სარჩელი და გააცნო კლიენტს და მის ოჯახს. ისინი არ დაეთანხმნენ სარჩელს სახელმწიფო ბაჟის ოდენობიდან გამომდინარე და ადვოკატს მოსთხოვეს, შეედგინა სარჩელი ისე, რომ სახელმწიფო ბაჟის ტანხა გამოუსლიყო იმ ოდენობით, რომელიც მათთვის იყო მისაღები. ადვოკატმა კლიენტებს განუმატრა ის მოსალოდნელი რისკები, რასაც გამოიწვევდა სარჩელის შეცვლა, თუმცა კლიენტის მოთხოვნით, სარჩელი ადვოკატმა ი. გ.-მ შეადგინა იმ მოცემულობით, რომ სახელმწიფო ბაჟი ყოფილიყო იმ ოდენობით, რომელიც მას კლიენტმა ვ. ფ.მ უთხრა და ადვოკატმა 10 დღის ვადის დაცვით სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

5. 2017 წლის 13 ივნისის განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე. ამ განჩინებით ასევე უქმდებოდა 2017 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერებული იყო 2017 წლის 19 აპრილს გაცემული N სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება, რაც ვ. ფ.-ის საქმისათვის იყო დაუშვებელი, ამიტომ საჭირო გახდა კერძო სააპელაციო საჩივრის მომზადება. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტს დროის მოგება უნდოდა, სააპელაციო საჩივარს ადვოკატმა ი. გ.-მ დააკლო გადასახდელი ბაჟის თანხა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომ ეს გარემოება ხარვეზის დადგენის მიზეზი ყოფილიყო, ასეც მოხდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით დაუდგინდათ ხარვეზი - რომლითაც დაეკისრათ ბაჟის გადახდა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ადვოკატმა გაასწორა ხარვეზი და სააპელაციო წარმოება განახლდა. 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა კერძო სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ეს გადაწყვეტილება მხარეებს ჩაბარდათ 2017 წლის 13 დეკემბერს.

6. ადვოკატმა სცადა მოლაპარაკება მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან, რასაც ადასტურებს ვ. ფ.-ც, თუმცა მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, მხარეები ვერ შეთანხმდნენ ისეთ პირობებზე, რომელიც ვ. ფ.-ისათვის იქნებოდა მისაღები.

6.8 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ი. გ.-მ კლიენტთან ურთიერთობა შეწყვიტა კლიენტის მიერ არაერთხელ გამოცხადებული უნდობლობის შედეგად, რის უფლებას ადვოკატს აძლევს მოქმედი კანონმდებლობა.

6.9 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ი. გ.-ის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიმართული იყო ვ. ფ.-ის ინტერესის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ის შედეგი, რაც კლიენტს უნდოდა არ დადგა, ამაში ადვოკატს ბრალი არ მიუძღვის. ადვოკატის კვალიფიციური მოქმედებების შედეგად თვეების განმავლობაში შეჩერდა აუქციონის გზით მოთხოვნის დაკმაყოფილება ვ. ფ.-ის უძრავ ქონებაზე.

6.10 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი არ უბრუნებს საადვოკატო მომსახურენისათვის გადახდილ თანხას 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარს და 300 (სამასი) აშშ დოლარს, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.11 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

6.12 კოლეგიის შეფასებით, მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა ი. გ.-მ ვ. ფ.-ისაგან ჰონორარის სახით მიიღო 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარი და 300 (სამასი) აშშ დოლარი. ასევე, სადავო არაა გარემოება, რომ კლიენტს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურების გაწევისათვის უნდა გადაეხადა 800 (რვაასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

6.13 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ი. გ.-ს ვ. ფ.-ისაგან საადვოკატო მომსახურების ჰონორარი სრულად მიღებული არ აქვს. ადვოკატის პოზიციით, მის მიერ მიღებული თანხა

ექვივალენტურია იმ მომსახურებისა, რომელიც მან კლიენტს გაუწია,. კოლეგიამ გაანალიზა ადვოკატის მიერ გაწეული სამუშაო და მიიჩნევს, რომ ადვოკატმა აღნიშნული თანხა გამოიმუშავა და შესაბამისად, ადვოკატ ი. გ.-ს ვ. ფ.-ისათვის გაწეული სამართლებრივი მომსახურებით არ დაურღვევია გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №052/18 ადვოკატ ი. გ.-ის მიმართ /სიითი № არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/